

ტექნოგენური ლანდშაფტების გეოქიმიური ფუნქციონირება-სამთო რეგიონის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სიტუაციის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი

ეთერ.დავითაია

ელ.ფოსტა: eter.davitaia@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

ბუნების დაცვისა და კერძოდ, ეკოლოგიური პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტექნოგენუზთან დაკავშირებული ბუნებრივი კომპლექსების გეოქიმიური ფუნქციონირების თავისებურებანი, რომლებიც, სხვა მრავალ ფაქტორთა შორის, სამთო რეგიონის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სიტუაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანია.

ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ფუნქციონირებას და მის შემდგომ დინამიკას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მასში მინერალური და ბიოგენური ნივთიერებების მიგრაციის ხასიათი. ეს უკანასკნელი აქტიურად ზემოქმედებს რა, ლანდშაფტის თითოეულ კომპონენტზე (ლითოლოგია, ნიადაგ-მცენარეული საფარი, შიგა წყლები, მიკრო და მაკროორგანიზმები), წარმოქმნის ლანდშაფტის განსაკუთრებულ მოდიფიკაციას (ტექნოგენური ლანდშაფტი), რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს შემდგომში, ელემენტთა მიგრაციის თვისობრივად ახალ ხასიათს და ეკოლოგიურად განსხვავებული სიტუაციის ჩამოყალიბებას.